

შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

სტუდენტთა მომსახურების წესი

თბილისი 2015 წ

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის შესაბამის ადაპტირებულ გარემოს შექმნას, რათა მათ სხვა სტუდენტებთან თანაბარ პირობებში შეძლონ სრულფასოვანი განათლების მიღება, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

1.2 უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესით განსაზღვრული მომსახურების ადმინისტრირება.

მუხლი 2.

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შენობაში (შენობებში) შემდეგი ინფრასტრუქტურის არსებობას:

ა. უნივერსიტეტის შენობის (შენობების) შესასვლელში არსებობს უნარშეზღუდული პირების გადაადგილებისათვის განკუთვნილი სავარძლისთვის სპეციალური ასასვლელი;

ბ. უნივერსიტეტის აუდიტორიების შესასვლელი კარები მოწყობილია ისე, რომ უნარშეზღუდულმა სტუდენტმა დახმარების გარეშე შეძლოს სავარძლით გადაადგილება;

გ. ქ. თბილისში დავით გურამიძის გამზირ №76 - ში მდებარე უნივერსიტეტის შენობის პირველ სართულზე არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი;

დ) ქ. ლაგოდეხში 9 აპრილის №42-ში მდებარე უნივერსიტეტის შენობის მეორე სართულზე არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი;

ე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შექმნილია ყველა დანარჩენი სტუდენტის მსგავსად ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული კლასით სარგებლობის საშუალება;

ვ. უნივერსიტეტის შენობაში (შენობებში) თვალსაჩინოდ გამოკრულია უნარშეზღუდული პირების გადაადგილების აღმნიშვნელი ნიშნები (მაჩვენებლები), რომლის მიხედვითაც აღნიშნულ პირებს შეუძლიათ დახმარების გარეშე დაადგინონ გადაადგილების მარშუტი და გადაადგილდნენ სასურველი მიმართულებით;

2. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია უნარშეზღუდულ სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ და კომფორტულ გადაადგილებას უნივერსიტეტის შენობაში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, რომ თუ აღნიშნული პირებს, მათთვის სპეციალურად მოწყობილი პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის მიუხედავად, მაინც დასჭირდებათ დახმარება, დაუყოვნებლივ აცნობონ აღნიშნულის შესახებ დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის ნებისმიერ თანამშრომელს.

მუხლი 3. უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს ყველა სტუდენტისთვის თანაბარი გარემოს შესაქმნელად, რათა ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს განათლების მიღების

შესაძლებლობა. ამისათვის ითვალისწინებს ყველა იმ სიახლეს, რაც რეკომენდირებულია სახელმწიფოსა და სხვადასხვა ქართული თუ უცხოური ორგანიზაციების მხრიდან.

მუხლი 4.

1. ზემოთაღნიშნული წესი მოქმედებს უნივერსიტეტის მთელს ტერიტორიაზე და მისი დამრღვევი პირი პასუხს აგებს უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.
2. ზემოთაღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

1. ამ წესს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.